

რუსუდან ზექალაშვილი

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

rusudan.zekalashvili@tsu.ge

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა, ლექსიკა, ტერმინოლოგია, სამედიცინო ტერმინები, გატერმინება, განტერმინება.

განტერმინება (დეტერმინოლოგიზაცია), როგორც ლექსიკის გამდიდრების საშუალება (სამედიცინო ტერმინთა მაგალითზე)

ამა თუ იმ სამეცნიერო დარგის ლექსიკაში გამოყენებულია როგორც სალიტერატურო ენის ზოგადი ლექსიკა, ასევე ტერმინოლოგია. გ. კვარაცხელია სამეცნიერო სტილის ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურ შედგენილობაში გამოყოფს სამ ჯგუფს:

1. საერთო-ენობრივი მნიშვნელობის მქონე სიტყვებს, რომლებიც ქართული სალიტერატურო ენის კუთვნილებას;
2. ქართული სალიტერატურო ენის ტერმინებად ქცეულ სიტყვებს (მაგ.: გეზი, ქცევა, მარილი, ქერქი...);
3. სპეციალურ სიტყვებსა და შესიტყვებებს, რომლებიც მხოლოდ სამეცნიერო მეტყველებაში დასტურდება (კვარაცხელია 1990: 36).

მეცნიერის სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ტერმინოლოგია სამეცნიერო სტილის ლექსიკაში მხოლოდ 20-30%-ია, ხოლო არატერმინოლოგიური ლექსიკა – 60-70%. მიუხედავად ამისა, სპეციალურ ლექსიკას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა ამა თუ იმ სამეცნიერო დარგისთვის.

ნებისმიერი ენის ლექსიკა ძალიან ცვალებადია და ეს ეხება ტერმინოლოგიასაც, რომელშიც მუდმივად მიმდინარეობს როგორც გატერმინების (ტერმინოლოგიზაციის), ისევე განტერმინების (დეტერმინოლოგიზაციის) პროცესები. ამ დროს ლექსიკური ერთეულები ახალ სემანტიკურ დატვირთვას იძენს:

1. სიტყვის მნიშვნელობა შეიძლება დავიწროვდეს;
2. გაფართოვდეს;

3. გადააზრების შედეგად შეიცვალოს მეტაფორულად, რაც უფრო მეტად დამახასიათებელია სწორედ განტერმინების (დეტერმინოლოგიზაციის) პროცესისთვის.

დავასახელებთ რამდენიმე განტერმინებულ (დეტერმინოლოგიზებულ) ლექსიკურ ერთეულს *მუსიკის* სფეროდან: ნოტი, კომპოზიტორი, დისონანსი, აკორდი, დირიჟორი...

ნოტი მუსიკალური ბგერის პირობითი გრაფიკული ნიშანია ან თვით ბგერა მუსიკაში (უსლ 1989), მაგრამ პარფიუმერიაში შეიძლება აღნიშნოს ნაირგვარი სურნელება: „რა არის სუნამოს *ნოტები*?.. მუსიკოსების მსგავსად, ფინალური აკორდის შესაქმნელად ისინიც სხვადასხვა *ნოტს* იყენებენ, ოღონდ ერთი განსხვავებით – მათი *ნოტები* სურნელოვანი ეთერზეთებია“¹.

ძირითადი მნიშვნელობით *კომპოზიტორი* მუსიკალური ნაწარმოების შემთხვევლია, პარფიუმერიაში კი გვხვდება სურნელების შემზავებლის, შემქმნელის მნიშვნელობით: „პარფიუმერები არომატის *კომპოზიტორები* არიან“.

დისონანსი ბგერათა არაჰარმონიული შეხამებაა (უსლ 1989), გადატანით კი – შეუთანხმებლობა, შეუწყობლობა, არეულობა: „არ დავუშვებთ, რომელიმე პოლიტიკურმა ძალამ საარჩევნო პროცესში *დისონანსი* შეიტანოს“.

აკორდი აღნიშნავს სამი ან მეტი მუსიკალური ბგერის ჰარმონიულ შეერთებას (უსლ 1989), „*ბოლო აკორდის აღება*“ კი, როგორც ფრაზეოლოგიზმი – რამის დასრულებას: მოულოდნელ მეტაფორად გვხვდება კულინარიაში: „*ბოლო აკორდი* – არაჟანი, მადისადმძვრელი პელმენისთვის“; პოეზიაში: „თითქოს ავიღეთ *ბოლო აკორდი*, მერე ჩვენ შორის ჩადგა ცერბერი“ (მ. ხალიჩაშვილი).

დირიჟორი მუსიკალური ნაწარმოების კოლექტიური მესრულების ხელმძღვანელია (უსლ 1989). გადატანით გამოყენებული: „მე

¹ მაგალითები დამოწმებულია სხვადასხვა ინტერნეტსაიტიდან, ზოგჯერ მითითებული გვაქვს სტატიის ავტორი; ამას გარდა, გამოყენებულია ქართული ენის ეროვნული კორპუსი: <http://gnc.gov.ge/gnc/page>, ილიას უნივერსიტეტის ქართული ენის კორპუსი: <https://corpora.iliauni.edu.ge> და რამდენიმე მაგალითისთვის – თანამედროვე ქართული ენის ვებკორპუსი: <http://corpus.leeds.ac.uk/internet.html>

დღემდე ბოლომდე მწამს ყველაზე დიდი ილუზიონისტის და ამ ცხოვრების მართლაც რომ *დირიჟორის* – მაღალი ღმერთის“ (კორპ., ბ. ხვედელიძე); გ. ტაბიძესთან ვხვდებით საინტერესო მეტაფორას: „სატანა, *დირიჟორი* მსოფლიო ორკესტრისა“.

შეიძლება ტერმინთა გადატანითი გამოყენების უამრავი სხვა მაგალითის დასახელება ხელოვნებისა თუ მეცნიერების დარგებიდან. ენათმეცნიერებისთვის სწორედ ეს პროცესია საინტერესო: ლექსიკური ერთეულების მიგრაცია საერთო-სახალხო ენიდან ტერმინოლოგიაში და პირიქით: ტერმინოლოგიიდან სალიტერატურო ენაში. ეს მოვლენა დამახასიათებელია ნებისმიერი სამეცნიერო დარგის სპეციალური ლექსიკისთვის.

რაც შეეხება *გატერმინებას* (*ტერმინოლოგიზაციას*) და *განტერმინებას* (*დეტერმინოლოგიზაციას*), ეს ორი ურთიერთსაპირისპირო პროცესია, რომელიც დასტურდება სამეცნიერო ტერმინოლოგიაში. *გატერმინება* (ტერმინოლოგიზაცია) არის ტერმინთა ქმნადობა, რომელიც, გარდა სიტყვაწარმოებისა და თხზვისა, ბევრ სხვა ენობრივ საშუალებას იყენებს და მუდმივად ამდიდრებს სამეცნიერო დარგების ლექსიკას. *განტერმინების* (*დეტერმინოლოგიზაციის*) დროს კი სპეციალური ტერმინები მეტაფორულად გადაიაზრება, ხდება მათი რეინტერპრეტაცია და ეს ლექსიკური ერთეული იკვალავს გზას საერთო-სახალხო ენაში – მასმედიაში, მხატვრულ ტექსტებში. შესაძლებელია, რომ ერთი დარგის ტერმინები გადავიდეს სხვა, არამომიჯნავე დარგის ლექსიკაშიც, რასაც *კვლავგატერმინებას* (*რეტერმინოლოგიზაციას*) უწოდებენ. ეს მოვლენა უნივერსალურია და მეტ-ნაკლებად ახასიათებს ყველა სამეცნიერო მიმართულების ლექსიკას.

ვფიქრობთ, თავად ტერმინ „დეტერმინოლოგიზაციის“ ჩანაცვლება შეიძლება ქართული აფიქსების მქონე „*განტერმინებით*“ (საპირისპიროდ *გატერმინებისა*). ამ წარმოების ბევრი ლექსიკური ერთეული დასტურდება სამეცნიერო დარგებში. *გან-* ზმნისწინის ლათინური შესატყვისია de- პრეფიქსი, რომელიც ხშირად სიტყვასთან ერთად ნასესხებია ევროპულ ენებში. გერმანულში ამის შესაბამისია თავსართი ent-, რუსულში – *обес/обез-*. მაგ.: *განგოგირდება* – რუს. *обессеривание*, *დეფოცფორაცია*, ინგლ. *dephosphorization*, *dephosphorizing*, გერმ. *Entphosphorung*, *Entschwefelung*... *განმაგნიტება* – რუს. *размагничивание* ინგლ. *demagnetization* გერმ. *Entmagnetisierung*...

გან- ზმნისწინიანი წარმოება გვხვდება ბევრ ტერმინში: განიარაღება, განმუხტვა, განმუხრუჭება, განნაღმვა, განჟანგვა, განშლამვა,

განწიდება, განწმენება და სხვ. თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ გან- ზმნისწინი სპეციალურ ლექსიკაში ყოველთვის არ გამოხატავს რაღაცის მოშორების, რამისგან დაცლის ნიუანსს (შდრ. განკაცება, გან-სხეულება, განღმრთობა და სხვ.).

ასე რომ, ჩვენ დეტერმინოლოგიზაციის სინონიმად ზოგჯერ ვიყენებთ *განტერმინებას*.

ქართულ ენათმეცნიერებაში დეტერმინოლოგიზაციის პროცესს ყურადღება მიაქცია *ლათავრა გელენიძე* სტატიაში „ტერმინოლოგიისა და საერთო-სახალხო ენის მიმართებისათვის სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესთან დაკავშირებით“ (გელენიძე 1981: 87-92) და დაასახელა ტერმინთა მეტაფორული გამოყენების საინტერესო მაგალითები ქართული პოეტური ენიდან. მან ხაზი გაუსვა ტერმინოლოგიური ლექსიკის დაახლოების ტენდენციას საერთო-სახალხო ენის ლექსიკასთან და ამის მიზეზად მიიჩნია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი (გელენიძე 1981:87). სტატიაში დასახელებულია რამდენიმე სამედიცინო ტერმინიც, რომლებიც დადასტურდა პოეზიაში: *აბი, აგონია, ატროპინი, ბაცილა, ვირუსი, თრომბი, ინფექცია, კოდეინი, ნევროზი, სიმსივნე, ტრანსპლანტაცია, ფონენდოსკოპი, ჰორმონი* და სხვ. მკვლევარი წერს: „პოეტი სამეცნიერო ტერმინს თავის პოეზიაში გამოიყენებს უპირატესად არა მისი მეცნიერული მნიშვნელობით, არამედ მეტაფორულად, ემოციური დატვირთვით“ (გელენიძე 1981:89).

საკითხი უფრო ვრცლად შეისწავლა *გ. კვარაცხელია* სამეცნიერო და საგაზეთო-პუბლიცისტური ფუნქციური სტილების დახასიათებისას სადოქტორო დისერტაციაში, რომელიც ცალკე წიგნად გამოიცა: „ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა“, ქვეთავი: „სპეციალურ ტერმინთა ხატოვანი რეინტერპრეტაცია“ (კვარაცხელია 1990: 192-195).

ჩვენი მიზანი იყო განტერმინების პროცესზე დაკვირვება სამედიცინო ტერმინების მაგალითზე ქართული მასმედიის ენაში (უმეტესად კორპუსული მონაცემების საფუძველზე). ცხადია, ყველა სხვა სამეცნიერო დარგის მსგავსად, სამედიცინო ტერმინებისთვისაც დამახასიათებელია დეტერმინოლოგიზაცია, ანუ განტერმინება. *გ. კვარაცხელიას* ზემოაღნიშნულ ნაშრომში დასახელებულია პუბლიცისტის ენაში გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებული სამედიცინო ტერმინები: *დოზა, დოზირება, ისტერია, პარაზიტი, პარაზიტიზმი, პარაზიტული, პარალიზება, პროფილაქტიკა, ქრონიკული, აგონია, ალერგია, არიტმია, ეპიდემია, მეტასტაზი, ნევროზი*; ასევე ხაზგასმულია ამ

სიტყვების უარყოფით-შემფასებლური ელფერის წინ წამოწევა გადატანით გამოყენებისას (კვარაცხელია 1990:193).

თანამედროვე მასმედიისა და მხატვრულ ენაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ სამედიცინო სპეციალური ლექსიკის განტერმინების თვალსაზრისით ვითარება დიდად არ შეცვლილა: დღესაც ჭარბობს მეტაფორულად რეინტერპრეტირებული სწორედ დასახელებული ლექსიკური ერთეულები, მხოლოდ ორიოდ სხვა ლექსიკური ერთეული დაემატა ამ ჩამონათვალს. მათში შესაძლებელია რამდენიმე თემატური ჯგუფის გამოყოფა: *დაავადებების, სინდრომებისა და სიმპტომების* (ნევროზი, ჭლექი, სიმსივნე, ისტერია... ალერგია, კოლაფსი, შოკი, მეტასტაზი, ფურუნკული...), *ორგანიზმის რეაქციის* (ციებ-ცხელები), *დაავადებათა გამომწვევების* (ბაცილა, ვირუსი, ბაქტერია...), *სამკურნალო პროცედურების* (რეანიმაცია, ტრანსპლანტაცია, ამპუტაცია...), *სამკურნალო საშუალებებისა* (აბი, ატროპინი, კოდეინი, ჰორმონი...) და სამედიცინო *ხელსაწყო-იარაღების* (ფონენდოსკოპი...) აღმნიშვნელი ლექსიკა (იხ. ასევე ზექალაშვილი 2000:78-80). როგორც ჩანს, ამ ლექსიკური ფენების მეტაფორული პოტენციალი სხვებთან შედარებით დიდია. არატერმინოლოგიური გამოყენების დროს მძაფრდება სამედიცინო ტერმინთა უარყოფითი შეფერილობა (გვხვდება გამონაკლისებიც, როცა ემოციური ელფერი ნეიტრალური ან სულაც დადებითია), მაგრამ სპეციალური დარგის კუთვნილი სიტყვა უკვე დაცლილია ტერმინის მთავარი ნიშნებისგან (მონოსემანტიკურობა, ნეიტრალურობა...) და უფრო ექსპრესიული ხდება.

ზემოთ ჩამოთვლილი ლექსიკური ერთეულების გარდა, დავასახელებთ მეტაფორულად გამოყენებულ სხვა სამედიცინო ტერმინებსაც, მათგან უცხოური წარმოშობისა: *ატროფია, ბაქტერია, ბაცილა, ვირუსი, მიკრობი, დიაგნოზი, ეპილეფსია, ნარკოტიკი, ნევროზი, ტოქსიკოზი, ფსიქოზი, ფურუნკული, შიზოფრენია, შოკი...* სასაუბრო ენაში საკმაოდ გავრცელებულია: *იდიოტი, კრეტინი დაუნი, დებილი*; შედარებით მწირადაა წარმოდგენილი ქართული ტერმინები: *დამბლა, კიბო, მანკი, სიმსივნე, ციებ-ცხელება, ჭლექი, ხორცმეტი...*

ჩვენთვის საინტერესო საკითხს ყურადღება მიაქცევს უცხოურ ლინგვისტიკაშიც (იხ. ზემლევინიუტე, მაჯაევა, რიდნევა და სხვ.). მათს ნაშრომებში ჩამოთვლილია ზოგიერთი სამედიცინო ტერმინის მეტაფორულად გამოყენების საინტერესო მაგალითები: *შიდაპოლიტიკური აგონია, ჰუმანიზმის აგონია; ალერგია პრესის მიმართ, ნაციონალიზმის ბაცილა, პოლიტიკური გლაუკომა, აზრის ენტროპია, უნ-*

დობლობის ვირუსი, სისტემის კლიმაქსი, ეკონომიკური კოლაფსი, ეკონომიკური მარაზმი, კრედიტების ნევროზი, პროგნოზების პათოლოგია, მეგობრობის პროთეზი, დანაშაულების სიმსივნე, სინდისის სკლეროზი... ხელისუფლების დამბლა, მთავრობის დიაგნოზი, საშიში ვირუსები პოლიტიკაში, დაწყველილი ინფექცია, არითმეტიკული სკლეროზი, პოლიტიკური ჰემატომა, სოციუმის ჰემოროი (იხ. მაჯაევა; რიდნევა).

გადატანითი მნიშვნელობით სამედიცინო ტერმინოლოგია უმეტესად გამოყენებულია სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის ქართულ ტექსტებში, ზოგჯერ – მხატვრულ ენაში¹. მათი რაოდენობა არც ისე დიდია, მაგრამ ლინგვისტიკური თვალსაზრისით მაინც უაღრესად საინტერესოა.

მაგალითად, ძალიან გავრცელებულია სიტყვა *აგონია* (ძვ. ბერძნ. ἀγών – „ბრძოლა“), რომლის ორი მნიშვნელობაა მოცემული ლექსიკონში: სულთმოზრმავის მდგომარეობა და სიცოცხლის უკანასკნელი წუთები მომაკვდავისა (ქეგლ). აქვე დასახელებულია მეტაფორულად გამოყენების მაგალითებიც მხატვრული ნაწარმოებებიდან: „ხოლო მისთვის კი მზის ჩასვლა მუდამ მწუხარებაა და აგონია“ („ლიტ. საქ.“); „რევოლუცია დრომოჭმულის აგონია, დასანგრევის ნგრევაა“ (ჭ. ამირეჯიბი).

პოლიტიკურ-სოციალური შინაარსის მასმედიის ტექსტებში *აგონია* შეიძლება აღნიშნავდეს სახელმწიფოს, პოლიტიკური რეჟიმის, ხელისუფლების, ძალაუფლების, ეკონომიკის, რწმენის მძიმე და გამოუვალ მდგომარეობას. დადასტურდა შემდეგ შესიტყვებებში: ძველი რეჟიმის კრიზისი და აგონია, მარცხისთვის განწირული ხელისუფლების აგონია; ეკონომიკური სისტემის აგონია, ძალაუფლების დაცემის აგონია; მაგ.: „ყველა ძალაუფლების დასასრულს წინ აგონია სდევს – პროცესი, როდესაც მომაკვდავი უბრალოდ არაადეკვატური ხდება“; „ეს ბრიფინგები მეტყველებს იმაზე, რომ... [მთავრობა] გარდაუვალი მარცხის წინ წინასაარჩევნო აგონიაში არის“; „წინასაარჩევნო აგონია ხაზს უსვამს პარტიებისა და მათი წევრების მღელვარებას, ნერვულ მდგომარეობას არჩევნების წინ“; „ძველი რეჟიმის აგონია ვითარდებოდა ბუნებრივი კატასტროფებით“ (კორპ.).

¹ ამჯერად მხატვრულ ტექსტებში გამოყენებულ მეტაფორულ სამედიცინო ტერმინებს არ განვიხილავთ.

ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში *უნამუნომ* თავის რომანს უწოდა „ქრისტიანობის აგონია“: „როგორც ცხოვრების განსაკუთრებით ტრაგიკული აღქმა, რაც გონისა და რწმენის შეურიგებელი დუალიზმით არის გამოწვეული“ (<https://akti.ge/ka/book-read/119>).

გავრცელების თვალსაზრისით, აგონიას მოსდევს ტერმინი *ალერგია*: ალერგია აქვს/სჭირს/ემართება შესიტყვებებში: პრესისადმი ალერგია, ჯვრისადმი ალერგია, ვინმესადმი ალერგია, რამეზე ალერგია აქვს, ალერგია სჭირს/ემართება რაღაცის ან ვინმეს ხსენებაზე და სხვ. მაგ.: „ხალხს პრესისადმი ალერგია დავმართეთ“ (ქექე).

კოლაფსი (ლათ. Collapsus) პირდაპირი მნიშვნელობით აღნიშნავს შემდეგს: „გულსისხლძარღვთა სისტემის მწვავე ნაკლოვანების შედეგად არტერიული წნევის სწრაფი დაცემა“ (მედ. ლექს.). გადატანით კი პოლიტიკურ-სოციალური ხასიათის ტექსტებში, ფინანსურ, იურიდიულ სფეროში ეს სიტყვა გამოყენებულია *კრიზისის*, *სწრაფი დაცემის* მნიშვნელობით. დადასტურებულია სინტაგმებში: სისტემის კოლაფსი, ინსტიტუციების კოლაფსი, განათლების კოლაფსი, ურბანული კოლაფსი, ფინანსური კოლაფსი, დოლარის კოლაფსი, ევროს კოლაფსი, კრიმინოგენული კოლაფსი, სამართლებრივი კოლაფსი, სატრანსპორტო კოლაფსი...

კოლაფსი ეკონომიკურ ტერმინად უკვე შეტანილია სხვადასხვა ლექსიკონში: „collapsus დასუსტებული, დაცემული: ქვეყნის ეკონომიკაში ან სოციალურ ცხოვრებაში მძიმე კრიზისი, რომელსაც ახასიათებს წარმოების დაცემა, ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობების მოშლა, მოსახლეობის უმრავლესობის ცხოვრების დონის დაცემა“ (მოხ. ლექს.). მაგ.: „კალჭუნის სამეცნიერო ნაშრომი გამოყენებულია, როგორც *სოციალური კოლაფსის* მოდელი და ემსახურება ურბანული სოციოლოგიის შესწავლას“ (ინტ.).

საკმაოდ გავრცელებულია ტერმინი „*მეტასტაზიც*“ [ბერძ. Metastasis გადანაცვლება], გამოყოფილია მისი ორი მნიშვნელობა: 1. სისხლის მიმოქცევით ან ლიმფური გზით ავადმყოფობის გამომწვევითა (მიკრობთა, სიმსივნის უჯრედთა) გადატანა სხეულის ერთი ადგილიდან მეორეზე; 2. ასეთი გადატანის შედეგად გაჩენილი მეორეული კერა (ან კერები) ავადმყოფობისა (ქეგლ). გადატანითი მნიშვნელობით კი *მეტასტაზი* შეიძლება აღნიშნავდეს რაღაც ცუდი მოვლენის, პროცესის, მავნე ჩვევისა თუ ქცევის არაჯანსაღ და უკონტროლო ზრდა-გავრცელებას. გვხვდება კოლოკაციებში: საზოგადოების მეტასტაზი, კომუნისტური წყობის მეტასტაზი, საბჭოურ-კომუნ-

ნისტური მეტასტაზი, რუსოფობიური მეტასტაზი... მაგ.: „მეორე მსოფლიო ომში თითქოს მთელ სამყაროს მოსდებოდა *მეტასტაზები*“ (<http://mastsavlebeli.ge/?p=4589>).

ხშირია ტერმინ *შოკის* გამოყენებაც [ფრან. choc ბიძგი, დარტყმა]. მედიცინაში ესაა „ორგანიზმის თავისებური რეაქცია ძლიერი გამღიზიანებლის ზემოქმედების საპასუხოდ“ (მედ. ლექს.). მეცნიერების სხვა დარგებში ტერმინებად დამკვიდრდა: *ეკონომიკური შოკი* (თავისი სახეობებით: მოკლევადიანი, არასასურველი, დროებითი, რეალური და სხვ.). ეკონომიკის ფაკულტეტის ერთ-ერთ რიდერში 221-ჯერ არის გამოყენებული *შოკი*, როგორც ტერმინი (იხ. ხადური და სხვ.). მაგალითები პრესიდან: „ქვეყანაში *ეკონომიკური შოკი*: ლარის 30%-იანი გაუფასურება კი აუცილებლად აისახება იმპორტზე“; „ამ ემბარგო ვერ გამოიწვია *შოკი*, დეპრესია ან კატასტროფა ჩვენი ეკონომიკისთვის“; „ბიზნესი ვერ აანალიზებს, რას გამოიწვევს *ეკონომიკური შოკი* ფიქსირებული კურსის დროს“; „არსებულმა მყიფე სავალუტო პოლიტიკამ და კაპიტალური დაბანდების რეგიონალურმა პრობლემებმა ამ ქვეყნებში გამოიწვია „*სავაჭრო შოკი*“, რეცესია ჩვეულებრივ ხდება მაშინ, როდესაც ხდება ხარჯების ფართო ვარდნა (მოთხოვნის *უარყოფითი შოკი*)“...

რაც შეეხება *კულტურულ შოკს*, ის კულტუროლოგიურ ტერმინად დამკვიდრდა, ხოლო სამეცნიერო ტექსტებში დადასტურებულია მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან, მიიჩნევენ ფილოსოფიურ-კულტურულ და ფილოსოფიურ-ისტორიულ კატეგორიად. ის აღნიშნავს უცხო და უჩვეულო კულტურულ გარემოში მოხვედრისას წარმოშობილ უხერხულობასა და შფოთვისას (იხ. ინტ1).

კარგა ხანია, რაც მასმედიის ტექსტებში ფრაზეოლოგიზმებად იქცა შემდეგი გამოთქმები: *შოკი მიიღო*, *შოკი გამოიწვია*, *შოკი აქვს*, *შოკი მოჰგვარა*... დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს: „მახსოვს, თუ რა *შოკი მიიღო* საზოგადოებამ, როდესაც პირდაპირ ეთერში დიქტორმა გვაუწყა“ (ს. ნავერიანი); „ეს სცენარი იყო იმისთვის, რომ ჩვენ *შოკი მიგვეღო*... ეს ყველაფერი არის იმიტირებული და არავითარ კავშირში არ არის სიმართლესთან. ადამიანებს *ჰქონდათ შოკი*“ (ი. ანთაძე); „ბრიტანეთის პრემიერმა დევიდ კამერონმა განაცხადა, რომ სკანდალმა მას *შოკი მოგვარა*“. *შოკი* შეიძლება კომპოზიტად იქცეს მიმღეობასთან ერთად: „საქართველოს მოსახლეობაში ამ გადაცემა უმძიმესი სტრესი გამოიწვია და *შოკისმომგვრელი* ზემოქმედება მოახდინა“...

მსგავსი უარყოფითი შეფერილობით გამოირჩევა განტერმინებული სიტყვები: *დამბლა, ნევროზი, ფსიქოზი...* მაგ., *ეკონომიკის დამბლა* გვხვდება ამ სფეროში კრიზისის, დაცემის მნიშვნელობით, ხოლო *ეკონომიკის ნევროზი* ხაზს უსვამს მის არასტაბილურობასა და არეულობას. *ფსიქოზი* გადატანით უჩვეულო აჟიოტაჟის, უმართავი ისტერიული განწყობის აღმნიშვნელი გახდა: „ამას ემატება ჯანმო-ს ირგვლივ ატეხილი *ფსიქოზი*, მისი კავშირები ბილ გეიტსთან და ა.შ.“; „ქვეყნის მთავარი ასტროლოგი იზიარებს საერთაშორისო *ფსიქოზს* და ტელეეთერით ქადაგებს“; *წინასაარჩევნო ფსიქოზი* აღნიშნავს მასობრივი ფსიქიკური აშლილობის მსგავს კამპანიას, რომელიც გულისხმობს ურთიერთდაპირისპირებას, არეულობას, სიტუაციის დამაბულობას.

ყოველდღიურ მეტყველებაში გავრცელებულია მყარი გამოთქმები: *ფსიქოზს ნერვავს, ნევროზს აიკიდებს...* მაგ.: „მათი ხელმძღვანელები თუ ჟურნალისტები საზოგადოებაში მასობრივ *ფსიქოზს ნერგავენ*“ (თ. მეგრელიშვილი); „*ნევროზი* ამკიდა... მე ჩემი ოთახი მქონდა. შუალდით, ჩუმად შემოდიოდა ხოლმე იმ მუნდირში და ხელგაწვდილი თავზე დამხაოდა (კორპ., ბ. ხვედელიძე). „რასაც ვუყურებ, მე უმეგობროდ დარჩენილი ეგენი არ მინახავს, თან იმის ფონზე, რომ როცა *ნევროზები აიკიდეს*, გაიცხრილა მათი რიცხვი“ (ფორუმი, 2017)...

გამოვყოფთ ასევე ტერმინ *ისტერიას* [ბერძ. Hysteria – საშო]. ის აღნიშნავს ფუნქციურ ნერვულ დაავადებას, რომელსაც თან ახლავს ფსიქიკის, შერგმნობადობისა და მისთ. სხვადასხვაგვარი მოშლილობანი (იხ. ქეგლ). ლექსიკონში აღნიშნულია ტერმინის გადატანითი მნიშვნელობაც და მოყვანილია სათანადო მაგალითები იმდროინდელი პრესიდან. დავასახელებთ გამოყენების სხვა შემთხვევასაც: „ასეთი „თეორიებით“ არის „გამყარებული“ 5G ტექნოლოგიების ირგვლივ ატეხილი *ისტერია*, რომ „სახლში გამოგვკეტეს, რათა ანტენების დამონტაჟებას ხელი არ შევუშალოთ“...

ფურუნკული (ლათ. furunculus კერა, ბუდე) – ქართულად იგივეა, რაც ძირმაგარა. აღნიშნავს „თმის ბუდის, ცხიმის ჯირკვლისა და მის ირგვლივ არსებული ქსოვილის მწვავე ჩირქოვან ანთებას“ (მედ. ლექს.). პრესის ენაში გვხვდება გადატანით, როგორც მტკივნეული, ამაზრზენი, მოუშორებელი მოვლენა: „მის მიერ ფეხებზე დაკიდებულ ხეობაში ჭირმა თავი არ დამალა და *ფურუნკულად* იქცა (მერე ასეთი *ფურუნკული* სხვაგან გამოვა“ (ქეეკ). ნოდარ დუმბაძემ „თეთრ ბაირა-

ლებში“ ეს სიტყვა გამოიყენა აუტანელი და გულისამრევი ადამიანის მეტაფორად: „ფურუნკული რომ იყავი, კი ვიცოდი, მაგრამ, როდის გასკდებოდი, ეგ კი – არა“. ქურდული წრისთვის დამახასიათებელი ეს ვულგარული გამონათქვამი აიტაცა პრესამ და სტატიების სათაურადაც კი გამოიტანა: „პოლიტიკური ფურუნკული გასკდა“, „ჭრელი ბაირაღები, ანუ ფურუნკულების სკდომა“...

ძალზე გავრცელებულია დაავადების გამომწვევების აღმნიშვნელი ტერმინების (*ბაცილა, ვირუსი, ბაქტერია*...) მეტაფორიზაცია მასმედიის ენაში: *ბაცილა* დადასტურებულია სიტყვებთან: ბელადომანიის, პარტიოზანას, რადიკალიზმის, ექსტრემიზმის, ავტორიტარიზმის, უზნეობის, ანტიეროვნული, პატრიოტიზმის, პასიურობის, ეროტიკის... ბაცილა. მაგ.: „ავტორიტარიზმის ბაცილა ფსიქონალიზისთვის ტრანსფერის მოუხსნელობას უკავშირდება“ (მ. ებანოძე). „მ-ძის ბაცილა „ღორის გრიპზე“ უფრო სახიფათო ვირუსია და სწრაფად ვრცელდება“ (გ. ხუხაშვილი); „რადაც უცნაური ბაცილა შეეყარა ჩვენს საზოგადოებას და 9 აპრილის რევიზიასთანაც მივედით“ (ფ. ჩიხრაძე); „სიმდიდრის მხვეჭელობის მავნე ბაცილა მოზარდებსაც შეჰყრიათ“ (კორპ., ლ. ავალიანი); „სულიერი ბაცილა, რომელსაც ისინი ავრცელებდნენ, შავ ჭირზე უფრო საშიში იყო“ (გ. გვახარია); „მთავარ ტაძარშიც ისე შემოიჭრა კომერციული ინტერესის, ამბიციისა და მატერიალური კეთილდღეობის გამხრწნელი ბაცილა, რომ მან სწორედაც ეროვნული საქმის კეთილად დაგვირგვინების სიხარული დაჩრდილა“ (ზ. კილაძე). შედარებით იშვიათად დადასტურდა *ვირუსის* მეტაფორული გამოყენება: „კორუფცია ძალიან ჰგავს გადამდებ ვირუსს“ (კორპ.); „საზოგადოებამ უნდა მოიხადოს ეს ვირუსი, რომ ჩვენს მაგივრად არავინ არაფერს არ გააკეთებს“ (KaWaC); „სწორედ აქ შეეყარა მას ფეხბურთომანიის ვირუსი“ (ქეევ).

სასაუბრო ენაში ფართოდ გავრცელდა რამდენიმე სამედიცინო ტერმინი ადამიანის ჭკუასუსტობისა და გონებრივი ჩამორჩენილობის გამომხატველ დამაკნინებელ სიტყვებად: იდიოტი, კრეტინი, დაუნი და სხვ. ქართული ენის ეროვნული კორპუსის სტატისტიკური მონაცემებით, იდიოტი გვხვდება 1999-ჯერ, დებილი – 629-ჯერ, კრეტინი – 384-ჯერ, ხოლო დაუნი – 114-ჯერ (*გუგლის* სამიებო სისტემაში ასეთი გაცილებით მეტი მაგალითი აღმოჩნდა, თუმცა ცალ-ცალკე ნახვის გარეშე შეუძლებელია მათი გამიჯვნა პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობის მიხედვით)...

ჩვენ განვიხილეთ უცხოური წარმოშობის სამედიცინო ლექსიკა. ქართული ტერმინების მეტაფორულად გამოყენების შემთხვევა კი ძალიან მცირეა, ალაგ-ალაგ გვხვდება: *სიმსივნე*, *ხორცმეტი*, *ციებ-ცხელება*, *ქლექი*, *დამბლა*...

სიმსივნე არის „ორგანიზმის უჯრედთა არაკანონზომიერი გამრავლება განსაკუთრებულ ბიოლოგიურ თვისებათა შეძენით ახალწარმონაქმნ ქსოვილებში“ (ქეგლ). პუბლიცისტიკის ენაში გამოყენებულია გადატანითაც: „ეს იყო ის *ხორცმეტი*, ის *სიმსივნე*, რომელიც ედებოდა ეკონომიკას და მასთან გამკლავება რაღაც ეტაპზე აღმოჩნდა შეუძლებელი“ (დ. კაკაბაძე); „ბარაკ ობამამ *„სიმსივნე“* უწოდა ერაყში მოქმედ „ისლამისტურ სახელმწიფოს“ (ვ. ლიკლიკაძე); „ჩემთვის ერთი რამ უდავოა: როცა შენი მიწის მეხუთედი, ანუ 20% ოკუპირებული აქვს მსოფლიოს *სიმსივნედ* ქცეულ სახელმწიფოს, რომელიც შენი სახელმწიფოებრიობის მოსპობასაც გეგმავს...“ (თ. გვანცელაძე); „ქალმა იცოდა, რა იყო ეს წერტილი, საიდან გაჩნდა და რას ითხოვდა; *სიმსივნესავით* რომ აჯდა დროსა და სივრცეს“ (კორპ., მ. დოლიძე); ფრაზოლოგიზმი *სიმსივნის ამოკვეთა* კი გულისხმობს რაიმე ცუდის მოშორებას, ამოძირკვას: „უნივერსიტეტებში დაბუდებული *სიმსივნე* უნდა ამოიკვეთოს, ხოლო ოპერატორის როლი სახელმწიფომ უნდა შეასრულოს“ (ზ. ანდრონიკაშვილი)...

მეტაფორულად გამოყენების დიდი ხნის ისტორია აქვს სიტყვა *ხორცმეტს*, რომელიც აღნიშნავს „ხორცოვან ამონაზარდს... ადამიანის ან ცხოველის სხეულზე“ (ქეგლ). ლექსიკონში შეტანილია გადატანითი მნიშვნელობაც: „საზოგადოებისათვის უსარგებლო, მავნე, ზედმეტი ადამიანი, – პარაზიტი“. განსაკუთრებით მოიკიდა ამ სიტყვამ ფეხი რევოლუციის შემდგომ პერიოდში, გასაბჭოებისა და საბჭოთა რეპრესიების დროს. „ნაჯაფის ხარჯზე გამდიდრებასაც ცდილობდა და ცდილობს ათასი ჯურის წურბელა და *ხორცმეტი*“; „დაცვა სჭირდება იმ ადამიანს, ვინც არის საზოგადოების *ხორცმეტი* და მტერი“; „რეალურად, ეს იყო ის *ხორცმეტი*, ის *სიმსივნე*, რომელიც ედებოდა ეკონომიკას და მასთან გამკლავება რაღაც ეტაპზე აღმოჩნდა შეუძლებელი“; „გახსოვთ, რა თქმა უნდა, სოფლის წურბელა და *ხორცმეტი* ჯაყო ჯივაშვილი როგორ გარყვნის და გაანადგურებს სულიერად და ფიზიკურად ქართველ თავად თეიმურაზ ხევისთავს“¹.

¹ ამ აზრაცში ყველა მაგალითი მოყვანილია ქეგლ-დან.

ციება, ანუ *ციებ-ცხელება*, აღნიშნავს ავადმყოფობას, რომელიც ხასიათდება პერიოდული შეტევებით – ძლიერი შემცივნებითა და მაღალი სიცხით. ლექსიკონში უკვე შეტანილია გადატანითი მნიშვნელობაც: „ფაცი-ფუცი, მღელვარება“, დასახელებულია რამდენიმე მაგალითიც გაზეთ „კომუნისტიდან“: „ომის ისტერიის მძიმე *ციებ-ცხელება* არყევს მთელ კაპიტალისტურ სამყაროს“ (ქეგლ). საინტერესოა ეს შედარებაც: „ეს ის ხანაა, როცა საქართველოს *ციებ-ცხელებასავით* მოედო ჯგუფობრიობა, დასობანა“ (ლ. ბრეგაძე). ქეგ-ის მიხედვით, ეს სიტყვა გამოყენებულია შემდეგ კოლოკაციებში: წინასაგამოცდო, წინასასკოლო, წინასაკონკურსო, სართვლო, საამნისტო, სანაკრებო, სატრანსფერო და სხვ. „ყოველწლიურად, ევროვიზიის მოახლოებასთან ერთად, იწყება *წინასაკონკურსო ციებ-ცხელება*“ (ქეგ)...

დეტერმინოლოგიზებული სამედიცინო ლექსიკა ქმნის მყარ სიტყვათშეხამებებსაც: *დამბლა დაეცა/დამბლა დასცეს/დამბლა მოუვიდა; ფსიქოზს წერგავენ; ჭლექი გაუჩინა...* მაგ.: „მეც ვიცი ადამიანი რომელსაც სიყვარულმა ცხოვრება დაუნგრია, *ჭლექი გაუჩინა* და დაიღუპა“; „ჰელსინკის XV ოლიმპიადაზე მან „*ჭლექი გაუჩინა*“ ჩვენი ნაკრების მწვრთნელებს (შ. ქირია); „ამ მცენარემ ამის გამო *ჭლექი გამიჩინა*“; „ვაიმე, ინტერნეტმა ხო *ჭლექი გამიჩინა*“...

ჩვენ მიერ დასახელებული მაგალითები მოწმობს, რომ *განტერმინება* ლექსიკის გამდიდრების ერთ-ერთი საშუალებაა, დამახასიათებელი პოეტური ენისთვისაც, მაგრამ ამას ვერ მივიჩნევთ სახიფათო ტენდენციად. ამის შესახებ ლინგვისტები და სხვა დარგის მეცნიერები შემოგოთებას გამოხატავენ: „ასეთი თავისუფალი მოპყრობა ტერმინთადმი მეცნიერებაში განგაშს იწვევს, რადგან ხდება მათი გაუფასურება, ზუსტი ტერმინოლოგიური მნიშვნელობის გაბუნდოვანება“¹ (გელენიძე, გვ. 91-92).

ცხადია, ტერმინის გამოყენება პუბლიცისტიკასა და მხატვრულ ენაში მას ზუსტ სემანტიკას უკარგავს, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს პროცესი არაა ისე გავრცელებული, რომ საშიშროება დაემუქროს მეცნიერების ამა თუ იმ დარგს და ასეთი ტერმინების სემანტიკა გააბუნდოვანოს. ჟურნალისტს თუ მწერალს უფლება აქვს გამოიყენოს ის ლექსიკური ერთეული, რომელიც მის ჩანაფიქრს უკეთ გადმოსცემს, სათქმელს ემოციურ და ექსპრესიულ ელფერს აძლევს.

¹ ამ აზრის დასტურად ლ. გელენიძე იმოწმებს ა. ნ. პოლტარაცკის ნაშრომს (იხ. იქვე, გვ. 92).

დასკვნა

ლექსიკურ ერთეულთა ქცევა ტერმინებად ან ტერმინების გადასვლა საერთო-სახალხო ენაში მუდმივმოქმედი ცოცხალი პროცესია, რადგან ამ დროს ვლინდება ლექსიკის ცვალებადი და დინამიკური ხასიათი.

განტერმინების შემთხვევაში იქმნება ახალი სემანტიკური მიმართებები როგორც სალიტერატურო ენის ლექსიკასთან, ისე თვით ამა თუ იმ დარგის ტერმინოლოგიასთან.

პუბლიცისტიკის ენაში (განსაკუთრებით – ეკონომიკური და პოლიტიკური შინაარსის ტექსტებში) ტერმინოლოგიიდან შესულ ლექსიკას ახლავს ერთგვარი შემფასებლური ელფერი, რომლის ხასიათსაც, დადებითს ან უარყოფითს, კონტექსტი განაპირობებს.

სამედიცინო ლექსიკის განტერმინების საფუძველი არის ასოციაციური კავშირების დამყარება და საზოგადო სახელის რომელიმე სპეციფიკური ნიუანსის მიმსგავსება ტერმინის სემანტიკასთან. ამ მიზნით გამოყენებული სიტყვები ხშირად მოიცავს *დაავადებების, სინდრომებისა და სიმპტომების, ორგანიზმის რეაქციის, დაავადებათა გამომწვევების, სამკურნალო წამლო საშუალებებისა და სამედიცინო ხელსაწყო-იარაღების აღმნიშვნელ სიტყვებს* (მაგ.: აბი, აგონია, ალერგია, ბაქტერია, ბაცილა, დამბლა, ვირუსი, მიკრობი, ნევროზი, სიმსივნე, ფსიქოზი, ციებ-ცხელება, ჭლექი, ხორცმეტი და სხვ.).

სამედიცინო ტერმინთა *დეტერმინოლოგიზაცია (განტერმინება)* სპეციალური ლექსიკის მეტაფორიზაციის ერთ-ერთი გამოვლინებაა, რაც, თავის მხრივ, ამდიდრებს სალიტერატურო ენას და ზრდის მის ექსპრესიულობას. ამ სიტყვების ემოციური შეფერილობა უმეტესწილად უარყოფითია, რადგან სამედიცინო ტერმინებში წინ წამოწეულია სწორედ პათოლოგიური ცვლილება, ტკივილი, კერა, რაც ამძაფრებს ამ ლექსიკური ერთეულების ემოციურ დატვირთვას ახალ კონტექსტში. ასეთი სიტყვების გამოყენების სფერო არაა შეზღუდული, მაგრამ უმეტესად გვხვდება საზოგადოებრივ-პოლიტიკური შინაარსის ტექსტებში, ეკონომიკისა და ფინანსების სფეროში. აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ ეს სიტყვები მეცნიერების სხვა დარგის ტერმინებადაც იქცევა, რასაც შეიძლება ვუწოდოთ *კვლავგატერმინება (რეტერმინოლოგიზაცია, ანუ ხელახალი გატერმინება)*, მაგ.: კოლაფსი და შოკი – ეკონომიკაში, შოკი – კულტუროლოგიაში, ციებ-ცხელება – პოლიტოლოგიაში და სხვ.

თვალში საცემია ასეთი სიტყვების განსხვავებული ექსპრესიული დატვირთვა პოეტურ ენაშიც, რომელშიც თანდათან სულ უფრო ვრცელდება ნაკლებად პოეტური, ერთი შეხედვით, ნეიტრალური, არაემოციური სიტყვები. ზოგჯერ მათი შემოტანა თავად პოეტის სტილის თავისებურებით ან მოულოდნელობის ეფექტის შექმნის სურვილით არის განპირობებული.

ლიტერატურა

გელენიძე 1981 – ლატავრა გელენიძე, ტერმინოლოგიისა და საერთო-სახალხო ენის მიმართებისათვის სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესთან დაკავშირებით: ქსკს, წ. 4, მეცნიერება, თბილისი, გვ. 87-92.

ზექლაშვილი 2000 – რუსუდან ზექლაშვილი, ქართული ენა და სამედიცინო ტერმინოლოგიის საკითხები, სტამბა შპს, გაზეთი „საქართველოს მაცნე“, თბილისი.

კვარაცხელია 1990 – გუჩა კვარაცხელია, ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

ლამბაშიძე 1987 – როგნედა ლამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, მეცნიერება, თბილისი.

მაჯაევა – Маджаева С. И., Медицинские термины в неспециальной литературе. <https://vestnik.susu.ru/linguistics/article/view/9958>

რიდნევა – Риднева Л., Детерминологизация как средство художественной выразительности в публицистическом и художественном стиле русского языка: Умань. <https://dspace.udpu.edu.ua/bitstream/6789/3484/1/determinologizatsuja.pdf>

ზემლევიჩიუტე – Zemlevičiūtė P., Medical Terms in a Fictional Text. DOI: doi.org/10.35321/all84-04 <https://journals.lki.lt/actalinguisticalthuanica/article/view/2081>

ხადური და სხვ. – ნ. ხადური, ნ. კაკულია, მ. ჩიქობავა, ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკა (რიდერი): https://old.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/ec.makro.pdf

ლექსიკონები

სამედ. ტერმ. 2011 – გ. გოგიჩაძე, გ. კანდელაკი, თ. გოგიჩაძე, ბიოლოგიური და სამედიცინო ტერმინები და ცნებები, მერიდიანი, თბილისი.

მოხ. ლექს. 2004 – მოხელის სამაგიდო ლექსიკონი (შემდგ. ს. ურიდია და სხვ., რედ. ვ. გურგენიძე), თბილისი.

ტექ. ტერმ. 1982 – ტექნიკური ტერმინოლოგია (ქართულ-რუსული ნაწილი), მეცნიერება, თბილისი.

ქეგლ 1950-1964 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული (არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით), მეცნიერება, თბილისი: <https://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>

მეტ. ტერმ. 2011 – მეტალურგიული ტერმინების ლექსიკონი (ქართულ-რუსულ-უკრაინულ-ინგლისურ-გერმანულ-ფრანგული), ორ ტომად (მთავარი რედ.: გ. ქაშაკაშვილი), გამ-ბა სტ. „ფორმა“, თბილისი: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=15>

უსლ 1989 – უცხო სიტყვათა ლექსიკონი, მე-3 შესწ. და შევს. გამოცემა (შემდგ. მ. ჭაბაშვილი), განათლება, თბილისი.

ინტერნეტწყაროები

კორპ. – ილიას უნივერსიტეტის ქართული ენის კორპუსი: http://corpora.iliauni.edu.ge/search_words

ქეგ – ქართული ენის ეროვნული კორპუსი: <http://gnc.gov.ge/gnc/page>

KaWaC – თანამედროვე ქართული ენის ვებკორპუსი: <http://corpus.leeds.ac.uk/internet.html>

ინტ.1–<http://www.culturedialogue.com/resources/library/terms/kulturuli%20shoki.shtml>

ინტერნეტგვერდები

akti.ge, bm.ge, civil.ge, expressnews.ge, geworld.ge, ghn.ge, gurianews.com, imedinews.ge, kvira.ge, mastsavlebeli.ge, netgazeti.ge, newposts.ge, opentext-old, poetry.ge, radiotavisupleba.ge, reginfo.ge და სხვ.

Rusudan Zekalashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

rudan.zekalashvili@tsu.ge

Keywords: Georgian Language, Vocabulary, Terminology, Medical Terms, Terminologization, Determinologization.

Determinologization as One of the Means of Enriching the Language Lexis

(Using the Data of Medical Terms)

Summary

From the linguistic point of view, it is of special interest to observe the process of migration of a lexical unit from the literary language to the special terminological branch and vice versa. Such processes are characteristic of any scientific branch, as lexis is the most dynamic part of a language. In such cases some semantic shifts can be observed in the lexis of the language, namely the lexical meaning of the lexical units becomes broader or narrower. Sometimes the meaning can change metaphorically.

The process of the above-mentioned determinologization is also characteristic of medical terminology in the Georgian language, resulting in transferring the special terminology into literary language – through the mass media or literary texts. This process is universal and is more or less characteristic of the special lexis in any language.

Observation of the modern mass media in Georgia shows us that even today, the same lexical units are more often undergoing determinologization, namely, the terms of such specific areas as the lexical units denoting *symptomatic signs* or *syndromes of illnesses*, *organism's reaction*, *disease agents*, *medicinal products* and *medical instruments*.

It is clear that the metaphoric potential of the mentioned lexical layer is quite broad and the negative colouring is strong and brought forward. Some foreign terms are employed in non-medical contexts, such as *bakt'eria* 'bacteria', *mik'robi* 'microbe', *diagnozi* 'diagnosis', *abi*

'drug', *t'ok'sik'ozi* 'toxicosis', *shizoprenia* 'schizophrenia', and *shok'i* 'shock'... Some medical terms of pure Georgian origin also underwent determinologization (*k'ibo*, 'cancer', *ch'leki* 'tuberculosis', *dambila* 'paralysis', *tsieb-tskheleba* 'fever', *khortsmet'i* 'skin growths', 'wart', *simsivne* 'tumor'...).

The medical terminology is used in figurative meaning as well; for example, the term *agonia* 'agony' is met in the texts of social-political or economic character to describe such terms as regime, government, economics, religion, a city; the term *k'olapsi* 'collapse' is usually met with such nouns as systems, institutions, education, course of the dollar or euro, urban problems, criminal problems, transport, financial, jurisdiction and other fields problems; *met'ast'azi* 'metastasis' is usually addressed to something that is associated with the Soviet period, communist party or something concerning the society, such as Russophobia; there are also such terms as *dambila* 'paralysis' (of economics); *nevrozi* 'neurosis' (of society, of economics), *psikozi* 'psychosis' (pre-elections psychosis) and others.

Medical terms are used in poetic texts as a metaphor. An unpoetic, inexpressive, at first glance even rude medical term sometimes emphasizes the peculiarity of the poet's style and creates an effect of surprise, e. g. *agonia* 'agony', *hormoni* 'hormone', *trombi* 'thrombus'...

Determinologization of the terms of any branch (including medical terminology) is represented as one of the means of metaphorization which enriches the lexis of the literary language and makes it more expressive.